



ევროპულის სასამართლო დაადგენს, დაარღვია თუ არა საქართველოს მთავრობამ გამოხატვის თავისუფლება სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 21 ოქტომბერი

2016 წლის 8 [სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას მიმართა თხოვნით, წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტები იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება არა-სამთავრობო ორგანიზაციისა და ჟურნალისტის მიერ საგამომიებო მიზნებისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. მომჩივნების, “სტუდია მონიტორისა” \(არა-სამთავრობო ორგანიზაცია\) და ნინო ზურიაშვილის ინტერესებს იცავენ მიდლსექსის უნივერსიტეტის \[“ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ცენტრი”\]\(#\) და \[“საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”\]\(#\).](#)

“სტუდია მონიტორი” ნინო ზურიაშვილის თანა-დაფუძნებით შექმნილი არა-სამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დაცვა საგამომიებო ჟურნალისტის საშუალებით. 2007 წელს “სტუდია მონიტორი” ე.წ. “პროფესიონალური დაზარალებულების” ფენომენით დაინტერესდა მას შემდეგ, რაც შეამჩნია, რომ ერთმანეთთან კავშირის არ მქონე რამოდენიმე სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულებს ერთი და იგივე ადამიანები წარმოადგენდნენ. ნინო ზურიაშვილმა ხაშურის საოლქო სასამართლოს მიმართა თხოვნით, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. აღნიშნული საქმის წარმოება იმ დროისათვის დასრულებული იყო. საოლქო სასამართლომ ზურიაშვილის თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გარკვეული დოკუმენტების გასაჯაროება კანონით არის აკრძალული. მასალები შეიცავდა პირად ინფორმაციას, რომლის გასაჯაროება დაუშვებელია იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელაც შეეხება აღნიშნული ინფორმაცია. ზურიაშვილმა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმე იმ დროისათვის დასრულებული იყო, სასამართლოს მიერ მითითებული კანონი მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდებოდა, ხოლო მასალების გაცემა შესაძლებელი იყო პირადი მონაცემების ამოღების ან პიროვნების ანონიმურობის დაცვით.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში “სტუდია მონიტორი” და ნინო ზურიაშვილი აცხადებენ, რომ ჟურნალისტური გამოძიებისათვის უმნიშვნელოვანეს სისხლის სამართლის საქმის მასალების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმით დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-



10 მუხლით არის დაცული.

საქმეში ნათლად არის წარმოდგენილი გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის თავისუფლებისა და საზოგადოებისა და ჟურნალისტების მიერ გონივრულობის ფარგლებში მოთხოვნილ საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა. მთავრობამ ევროპული სასამართლოს კომუნიკაციას 2017 წლის 17 იანვრამდე უნდა უპასუხოს, რის შემდეგაც მომჩივანს ექნება საშუალება, წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია მთავრობის არგუმენტებთან დაკავშირებით.

ტეგები

- 2016
- ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლება
- საქართველო
- სასამართლო წარმოება
- პრესა/ჟურნალისტები